სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080108342618622

№ 1414 27 / აპრილი / 2022 წ.

შპს „სატისისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 21 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „სატისის“ SMP220001205 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს მიწის სათხრელი მოწყობილობებისა (მრავალფუნქციური ტრაქტორი) და მათი ოპერატორების დაქირავების მომსახურების (CPV - 45500000 - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის/ინჟინერიის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება) შესყიდვას, ღირებულებით 4000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, მიწის სათხრელი მოწყობილობებისა (მრავალფუნქციური ტრაქტორი) და მათი ოპერატორების დაქირავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული NAT220006593 ტენდერი დასრულდა უშედეგოდ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის რომ არ შეფერხდეს ორგანიზაციის ფუნქციონირება, აუცილებელია, ხელახალი ტენდერის გამოცხადების და სატენდერო პროცედურების დასრულებამდე, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო მოცულობის მომსახურების შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, მიწის სათხრელი მოწყობილობებისა (მრავალფუნქციური ტრაქტორი) და მათი ოპერატორების

დაქირავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული NAT220006593 ტენდერი დასრულდა უშედეგოდ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის რომ არ შეფერხდეს ორგანიზაციის ფუნქციონირება, აუცილებელია, ხელახალი ტენდერის გამოცხადების და სატენდერო პროცედურების დასრულებამდე, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო მოცულობის მომსახურების შესყიდვა.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს შპს „სატისის“ SMP220001205 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე